საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 2168-03
31/12/2024

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამებზე: ინგლისურენოვანი სადოქტორო პროგრამა "მედიცინა", ინგლისურენოვანი სადოქტორო პროგრამა ,,საზოგადოებრივი ჯანდაცვა", ინგლისურენოვანი სადოქტორო პროგრამა "ეკოლოგია", ,,მოლეკულური ბიოლოგია და ნეირომეცნიერებები", „დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები", „ფიზიკა და ასტრონომია', 2024-2025 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის მიღების გამოცხადების, რეგისტრაციის ვადებისა და პროცედურის შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, 49-ე მუხლის პირველი პუნქტის, 56-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №134/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების" მე-18 მუხლის პირველი და მეექვსე პუნქტის, აკადემიური საბჭოს მიერ 2024 წლის 29 ნოემბრის N12 სხდომის ოქმით დამტკიცებული ,,ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულებისა" და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის დეკანის 2024 წლის 30 დეკემბრის N23048-35 წარდგინების საფუძველზე,

ვბრძანებ

1. გამოცხადდეს მიღება 2024-2025 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის შემდეგ სადოქტორო პროგრამებზე:

1.1. ინგლისურენოვანი სადოქტორო პროგრამა "მედიცინა" - 3 ვაკანტური ადგილი;
1.2. ინგლისურენოვანი სადოქტორო პროგრამა ,,საზოგადოებრივი ჯანდაცვა''- 10 ვაკანტური ადგილი;
1.3. ინგლისურენოვანი სადოქტორო პროგრამა "ეკოლოგია''– 7 ვაკანტური ადგილი;
1.4. ,,მოლეკულური ბიოლოგია და ნეირომეცნიერებები'' 5- ვაკანტური ადგილი;
1.5. „დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები" - 2 ვაკანტური ადგილი;
1.6. „ფიზიკა და ასტრონომია' – 2 ვაკანტური ადგილი.

2. პირველი პუნქტით გამოცხადებული მიღებისთვის დამტკიცდეს, სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამაზე კვლევითი განაცხადის წარდგენის ფორმა 1-ელი დანართის მიხედვით.
3. პირველი პუნქტით გამოცხადებული მიღებისთვის დამტკიცდეს, სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამაზე პოტენციური ხელმძღვანელის თანხმობის ფორმა ყველა პროგრამისთვის მე-2 დანართის მიხედვით.
4. პირველი პუნქტით გამოცხადებული მიღებისთვის დამტკიცდეს, სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის სადოქტორო კვლევითი განაცხადის შეფასების ფორმა ყველა პროგრამისთვის მე-3 დანართის მიხედვით.
5. პირველი პუნქტით გამოცხადებული მიღებისთვის დამტკიცდეს, სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამაზე ზეპირი გამოცდის ფორმა ყველა პროგრამისთვის მე-4 დანართის მიხედვით.

6. პირველი პუნქტით გამოცხადებული მიღებისთვის დამტკიცდეს, სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამებზე მიღების პროცედურები და შეფასების სისტემა ყველა პროგრამისთვის მე-5 დანართის მიხედვით.
7. პირველი პუნქტით გამოცხადებული მიღებისთვის დამტკიცდეს სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის დოქტორანტობის კანდიდატის სააპლიკაციო ფორმა ყველა პროგრამისთვის მე-6 დანართის მიხედვით.
8. პირველი პუნქტით განსაზღვრულ სადოქტორო პროგრამებზე მიღების პირობები, ვადები და წარმოსადგენი დოკუმენტაცია დამტკიცდეს მე-7 დანართის მიხედვით.
9. საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტს დაევალოს, არაუგვიანეს 2025 წლის 20 თებერვლისა მიაწოდოს რექტორს იმ პირების სია, რომელთაც გააფორმეს ხელშეკრულება მათი ჩარიცხვის შესახებ ბრძანების გამოსაცემად;
10. სადოქტორო საფეხურზე მიღებასთან დაკავშირებული კონკურსანტების ინფორმაცია (კონკურსანტების შეფასებები და საიდენტიფიკაციო ნომერი) ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსებული იქნება ერთი თვის ვადით. საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტს დაევალოს ამ პუნქტით განსაზღვრული ვადების დაცვა და კონტროლი.
11. ამ ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტს;
12. დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიასა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტს ამ ბრძანების და ბრძანებასთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაციის დაინტერესებულ პირთათვის საჯარო წესით გაცნობა და მოთხოვნის შემთხვევაში ელექტრონულ ფოსტაზე გაგზავნა.
13. უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს დაევალოს, ამ ბრძანებაში მითითებული ინფორმაცია განათავსოს უნივერსიტეტის ვებგვერდზე;
14. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს, მიაწოდოს ამ ბრძანების ასლები საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტს, რექტორის აპარატს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურსა და იურიდიულ სამსახურს.

ნინო დობორჯგინიძე

რექტორი

ელექტრონული ხელმოწერა/ELECTRONIC SIGNATURE • QUALIFIED